ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №165696

ნომერი: AR144363

თარიღი : 26.04.2012

გაცემის თარიღი : 23.05.2012

გაცნობის თარიღი : 20.09.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 43 , (ნაკვ 10/073) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- უტა მაზიაშვილი პ/ნ 01026001199
- თბილისი ი.მოსაშვილის ქ. N 18

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, მ. კოსტავას ქ. #43-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: ##01.15.03.010.073, 01.15.03.010.060) სპეციალური ზონის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილებას, გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი განხილული იქნა "საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს - გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს" 2012 წლის 1 მაისის #18 სხდომაზე, რომლის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე საკითხი გადაგზავნილი იქნა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" 2012 წლის 11 მაისის #18 სხდომაზე განსახილველად. აღნიშნული "კომისიის" სხდომის დასკვნის საფუძველზე რეკომენდაცია გაეწია სპეციალური ზონის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილებას სხდომებზე გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით (იხ. დანართი). შესაბამისად, საკითხი შემდგომი განხილვისთვის წარდგენილი იქნება ქალაქ თბილისის საკრებულოს სხდომაზე, რომლის საბოლოო გადაწყვეტილების შესახებაც სამსახური გაცნობებთ დამატებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge